# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 194

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №78-ის მიმდებარედ №01.14.10.001.088, №01.14.10.001.089 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008“-ისთვის (ს/კ. 204549792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, “ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №78-ის მიმდებარედ №01.14.10.001.088, №01.14.10.001.089 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008“-სთვის (ს/კ. 204549792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №23.556.639 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №78-ის მიმდებარედ 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.10.001.088) და ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №78-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.10.001.089) პირდაპირი განკარგვის წესით შშპს „ანტრე 2008“-ისთვის (ს/კ. 204549792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე